კვლავ მომართა მოქ. გიორგი ნონიკაშვილმა სამსახურს და წარმოადგინა საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის და სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოქ. გიორგი ბეჟანიშვილმა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულა განსაზღვრულ დროში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ბრძანება

1. შესრულებულად ჩაეთვალოს მოქ. გიორგი ბეჟანიშვილს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015წ №1997435 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

2. 11.09.2015 წ №AR1318433 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015წ №1997435 ბრძანებასთან ერთად.

4. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს დამკვეთს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• აღნიშნულის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.